Creative Europe

EUROPA NOSTRA

პრესრელიზი

ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის პროაქტიული კონსერვაციის და მონიტორინგის სისტემის პროექტმა ევროპული მემკვიდრეობის პრიზი / ევროპა ნოსტრას ჯილდო მოიპოვა

ბრიუსელი / ჰააგა, 25 მაისი, 2021

25 მაისს ევროკომისიამ და ევროპა ნოსტრამ კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ევროპის უმაღლესი აღიარების - ევროპული მემკვიდრეობის პრიზის / ევროპა ნოსტრას ჯილდოს 2021 წლის გამარჯვებულები გამოავლინა.

გამარჯვებულთა შორისაა ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის პროაქტიული კონსერვაციის და მონიტორინგის სისტემის პროექტი.

წელს, ევროპის წამყვანი ჯილდო გადაეცემა 24 სამაგალითო მიღწევას ევროპის 18 ქვეყნიდან[1]:

კატეგორია - კონსერვაცია

Gare Maritime, ბრიუსელი, ბელგია
ფრედენსბორგის სასახლის ბაღი, დანია
ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, საქართველო
Haus Am Horn, ვაიმარი, გერმანია
პლაკას ხიდი, ეპირესი, საბერძნეთი
ზედა ორმონდ კეის 18 Ormond Quay Upper, დუბლინი, ირლანდია
სოფელი ურსის ხის ეკლესია, ვილჩის ჟუდეცი, რუმინეთი
ბეზოს წყლის კოშკი, ბარსელონა, ესპანეთი
Mas de Burot, ელ პორტის ბუნებრივი პარკი,ესპანეთი

კატეგორია - კვლევა

FIBRANET - ანტიკური ევროპული ტექსტილის ძაფი, დანია/საბერძნეთი
Control Shift - ევროპული ინდუსტრიული მემკვიდრეობის ხელახალი გამოყენება, საბერძნეთი/ჰოლანდია
ART-RISK - ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პრევენციულ კონსერვაციაში, ესპანეთი

კატეგორია - გასაკუთრებული ღვაწლი

გჯიროკასტრას ფონდი, ალბანეთი
კულტურული მემკვიდრეობის ტექნიკური კომიტეტი, კვიპროსი
რიტა ბარგნა, იტალია
GEFAC - კოიმბრას აკადემიის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის ჯგუფი, პორტუგალია

კატეგორია - განათლება, სწავლება და ცნობიერების ამაღლება

ბულგარული ფოლკლორის ნაბიჯების კვალდაკვალ, ბულგარეთი
მემკვიდრეობის ჰაბები, ფინეთი/იტალია/სერბეთი/ესპანეთი
დამნაშავე მხარის გამოგონება, ტრენტო, იტალია

[1] გამარჯვებულები ჩამოთვლილია ქვეყნების მიხედვით

[არდადეგები! აღმოსავლეთსა და დასავლეთში - სკოლის ეკლესია, გრონინგენი, ჰოლანდია](#)

[ევროპული სოლიდარობის ცენტრი - მუდმივი ექსპოზიცია, გდანსკი, პოლონეთი](#)

[მორონის არტიზანული კირი, მორონ დე ლა ფრონტერა, ესპანეთი](#)

[არქეოლოგია სახლში, გაერთიანებული სამეფო](#)

[Morus Londinium: ლონდონის მემკვიდრეობა ხეების მიხედვით, გაერთიანებული სამეფო](#)

2021 წლის გამარჯვებულები ონლაინ ღონისძიებაზე **მარია გაბრიელმა**, ევროკომისარი ინოვაციის, კვლევის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით და **ჰერმან პარცინგერმა**, ევროპა ნოსტრას აღმასრულებელმა პრეზიდენტმა დაასახელეს.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია: მემკვიდრეობის მხარდამჭერებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან საშუალება ეძლევათ [ხმის მიცემით](#) გამოავლინონ „**საზოგადოების რჩეულის“ ჯილდოს** მფლობელი. საზოგადოების რჩეულის ჯილდოს გამარჯვებული გამოვლინდება ევროპული მემკვიდრეობის დაჯილდოების ცერემონიაზე, რომელიც გაიმართება 2021 წლის შემოდგომაზე. **გრან-პრის** მფლობელებიც აღნიშნულ პერიოდში გამოვლინდებიან და თითოეული მათგანი €10,000 მიიღებს ფულადი პრიზის სახით.

ონლაინ ივენთის მსვლელობისას ევროკომისარმა მარია გაბრიელმა განაცხადა: “ევროპული მემკვიდრეობის ჯილდოს/ევროპა ნოსტრას ჯილდო 2021 - ის გამარჯვებულები არიან ევროპული მემკვიდრეობის მშვენიერების ელჩები, იქნება ეს ტრადიციები, თვალწარმტაცი არქიტექტურა თუ მემკვიდრეობა, რომელიც სხვადასხვა ჯგუფსა და თაობას აერთიანებს. მე მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენი მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვა და წარმატება მის სამსახურში მყოფ ხალხზეა დამოკიდებული. ამ დაჯილდოებით ჩვენ აღვნიშნავთ გამორჩეული ადამიანების წვლილს, ესენი არიან მემკვიდრეობის პროფესიონალები, არქიტექტორები, მეცნიერები და მოხალისეები, რომლებმაც ეს საერთო მემკვიდრეობა ჩვენს გულთან ახლოს მოიტანეს. მათი ხედვა დასაფასებელია“.

ევროპა ნოსტრას აღმასრულებელმა პრეზიდენტმა ჰერმან პარცინგერმა განაცხადა: “ყოველწლიურად ევროპული მემკვიდრეობის ჯილდოს/ევროპა ნოსტრას დაჯილდოების გამარჯვებულები წარმოადგენენ იმ ადამიანთა შეუდარებელ შემოქმედებითობასა და თავდადებას, რომლებიც ცდილობენ დაიცვან და მომავალ თაობას გადასცენ ევროპის ძვირფასი მემკვიდრეობა. ამ წლის ლაურეატებმა აჩვენეს, თუ რა გადაწყვეტის საშუალებებს გვთავაზობს მემკვიდრეობა მწვავე გამოწვევების ფონზე, კლიმატის, ურბანული და სოფლის მდგრადი განვითარების პარალელურად, რითიც ვიცავთ ჩვენს ევროპულ ღირებულებებს. ჩვენ მივესალმებით ამ გამორჩეულ მიღწევებს და ვიმედოვნებთ, რომ სხვა მრავალი მემკვიდრეობის სფეროს პროფესიონალისა და ენთუზიასტისთვის შთაგონება გახდება ევროპის მასშტაბით და მის მიღმა.“

დაჯილდოების გამარჯვებულები გამოვლინდნენ მემკვიდრეობის ექსპერტებისგან შემდგარი დამოუკიდებელი ჟიურის მიერ და 30 ქვეყნის ორგანიზაციისა და ინდივიდუალური პირების ხმების საფუძველზე.

კონტაქტები

ევროპა ნოსტრა
ოდრი ჰოგანი, პროგრამის ოფიცერი
ah@europanostra.org,
T. +31 70 302 40 52; M. +31 63 1 17 84 55
ჯოანა პინეირო, კომუნიკაციების კოორდინატორი
jp@europanostra.org,
M. +31 6 34 36 59 85

ევროპა ნოსტრას წარმომადგენლობა საქართველოში
მაკა დვალიშვილი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი
maka@geccgeorgia.org
M. +995 5 99 50 64 48

ევროკომისია
სონია გოსპოდინოვა
sonya.gospodinova@ec.europa.eu
+32 2 2966953

დეტალური ინფორმაცია

[Press release in various languages](#)

გამარჯვებული პროექტების შესახებ ინფორმაცია:
[ინფორმაცია და ჟიურის კომენტარი](#)
[ვიდეოები](#) (მაღალი ხარისხით)
[ფოტოები და ელ-ბანერები](#) (მაღალი ხარისხით)
[შემოქმედებითი ევროპის ვებ-გვერდი](#)
[კომისარი გაბრიელის ვებ-გვერდი](#)

ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი: პროაქტიული კონსერვაცია და მონიტორინგის სისტემა

პროექტის შესახებ:

ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი შუა საუკუნეების მემკვიდრეობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ძეგლია საქართველოში. კომპლექსის შექმნა XII საუკუნის მეორე ნახევარში მეფე გიორგი III-მ დაიწყო და დაასრულა მისმა ქალიშვილმა, თამარ მეფემ. კომპლექსი გაშენებულია კლდის გასწვრივ, გადაჭიმულია 50 მეტრის სიმაღლეზე და დაახლოებით 800 მეტრი სიგრძეზე და შედგება რამდენიმე ასეული ცალკეული სივრცისგან. XII საუკუნით დათარიღებული ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის კედლის მხატვრობა ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული და მნიშვნელოვანი ნიმუშია. ვარძია 1993 წლიდან შეტანილია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კანდიდატ ძეგლთა ნუსხაში.

კომპლექსის საქართველოს ყველაზე აქტიურ სეისმურ რეგიონში მდებარეობის გამო, კლდოვანმა არქიტექტურამ სერიოზული ზიანი განიცადა. ვარძიის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, პროექტი საქართველოს მთავრობამ და ფონდმა „ქართუმ“ დააფინანსა. პროექტს ხელმძღვანელობდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო იტალიის გარემოს დაცვისა და კვლევების უმაღლეს ინსტიტუტთან (ISPRA) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს კვლევის ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით.

საუკუნეების განმავლობაში ქანების ეროზიის ბუნებრივი პროცესები, სეისმურ ბიძგებთან ერთად საფრთხეს უქმნიდა ძეგლის მთლიანობას. ბოლო წლების განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ უსაფრთხოების ზომების გაძლიერების გადაუდებელი აუცილებლობა შექმნა.

ძეგლის კომპლექსურობიდან გამომდინარე, საჭირო იყო დედამიწის შემსწავლელ ინტერდისიპლინარულ მეცნიერებებზე და არაინტრუზიულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მიდგომა. ადგილობრივი პროფესიონალებისა და მკვლევარების ცოდნისა და გამოცდილების ასამაღლებლად და მეთოდოლოგიური დახმარებისთვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწვეულნი იყვნენ ISPRA– ს ექსპერტები, რის შედეგადაც შეიქმნა კონსერვაციის ყოვლისმომცველი გეგმა. 2015 წლიდან 2019 წლამდე ვარძიაში ქვათაცვენისა და მეწყერების შესაჩერებლად არაერთი გადაუდებელი ღონისძიება ჩატარდა, ასევე შემუშავდა გრძელვადიანი სტრატეგია; შემუშავდა და დამონტაჟდა მონიტორინგის კომპლექსური სისტემა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ამუშავებს გარემო პირობების საკვანძო მონაცემებს და შემდგომ გადასცემს სამეცნიერო ჯგუფს ანალიზისთვის. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს ზიანის შემცირებას და ვარძიის გრძელვადიანი სტრუქტურული სტაბილურობის უზრუნველყოფას.

ჟიურიმ სათანადოდ შეაფასა ადგილობრივი პროფესიონალებისა და საერთაშორისო ექსპერტების თანამშრომლობა და აღნიშნა: ”იტალიის ექსპერტებთან თანამშრომლობამ უზრუნველყო ცოდნისა და უნარების გაცვლა რამაც განაპირობა ამ სფეროში ადგილობრივი ექსპერტიზის შექმნა.”

ამ წარმატებულმა საპილოტე პროექტმა საფუძველი ჩაუყარა "კლდეში ნაკვეთი მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას", რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში რამდენიმე მსგავსი ძეგლის გადარჩენას, როგორიცაა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ევროპა ნოსტრას და ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტის მიერ შეტანილ იქნა 2018 წლის 7 საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლის სიაში.

”ამ უჩვეულო ძეგლს აქვს პრობლემები, რომლებიც ჯერ არ არის ფართოდ გამოკვლეული და დადგენილი. ეს პროექტი წარმოადგენს გადაუდებელი პრობლემების გადასაჭრელად მყისიერი ზომების დანერგვის მცდელობას, იმ ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც ჩვეულებრივ არ გამოიყენება მემკვიდრეობის კონსერვაციაში. მონიტორინგი დაბალი ზემოქმედების მქონე პროცესია და მცირე ზემოქმედებას ახდენს კლდეში ნაკვეთი ქალაქის ამ იშვიათ შემონახულ მაგალითზე. პროექტი აფართოებს რესტავრაციის კონცეფციას და რესტავრაციის ობიექტებს და მოიცავს ვრცელი ობიექტის პრევენციულ კონსერვაციას ”, - განაცხადა ჟიურიმ.

www.vardzia.iliauni.edu.ge | www.heritagesites.ge | www.memkvidreoba.gov.ge

წინაპირობა

ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის ჯილდო / ევროპა ნოსტრას ჯილდო

ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის ჯილდო / ევროპა ნოსტრას ჯილდო დაარსდა 2002 წელს ევროკომისიის მიერ რომელსაც განახორციელებს ევროპა ნოსტრაევროკავშირის პროგრამის შემოქმედებითი ევროპის მხარდაჭერით. პროგრამა წარმოაჩენს მემკვიდრეობის კონსერვაციის, კვლევის, მენეჯმენტის, განათლების და კომუნიკაციის სფეროს საუკეთესო მაგალითებს და ამით ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ევროპის ეკონომიკის და საზოგადოების სტრატეგიული რესურსის როლის აღიარებას. პრიზის მხარდამჭერია ევროკავშირის შემოქმედებითი ევროპის პროგრამა.
ჯილდოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპული საზოგადოების, ეკონომიკისა და გარემოსთვის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მრავალმხრივი ღირებულების აღიარების საქმეში. ჯილდის შესახებ დამატებითი ფაქტებისა და მონაცემებისთვის ეწვიეთ www.europeanheritageawards.eu/facts-figures.

2021 წელს ასევე გაიცემა ორი **ILUCIDARE**-ს სპეციალური პრიზი ევროპული მემკვიდრეობის დაჯილდოებაზე/ევროპა ნოსტრას დაჯილდოების ცერემონიაზე. საბოლოო სია 10 ივნისს გახდება ცნობილი, ხოლო გამარჯვებულები გამოვლინდებიან შემოდგომაზე. ILUCIDARE -ს პროექტს მხარს უჭერს Horizon 2020 საერთაშორისო ქსელი, რომლის მიზანია მემკვიდრეობის, როგორც ინოვაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების რესურსის, საერთაშორისო ქსელის ჩამოყალიბება.

ევროპა ნოსტრა

ევროპა ნოსტრა წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების პანევროპულ ფედერაციას, რომელსაც მხარს უჭერენ როგორც კერძო კომპანიები, ასევე საჯარო დაწესებულებები და ინდივიდები. ორგანიზაცია აერთიანებს ევროპის 40 ქვეყანას და მიზნად ისახავს ევროპის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას. ევროპა ნოსტრა დაარსდა 1963 წელს და დღეისთვის იგი ყველაზე წარმომადგენლობითი ევროპული ქსელია. ევროპა ნოსტრა პროგრამის „საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლი“ ფარგლებში ახორციელებს ევროპაში განადგურების პირას მყოფი ძეგლების და ლანდშაფტების გადარჩენის კამპანიას. იგი წარმოაჩენს სფეროს მიღწევებს ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზის / ევროპა ნოსტრას ჯილდოს მეშვეობით. ევროპულ ინსტიტუციებთან და ევროპული მემკვიდრეობის ალიანსთან კოორდინირებით, ევროპა ნოსტრა ევროკავშირის მთავარი პარტნიორი იყო 2018 წლის კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წლის ფარგლებში. ევროპა ნოსტრა ასევე ევროკომისიის მიერ გამოცხადებული ახალი ევროპული ბაუჰაუსის ინიციატივის ერთ-ერთ მთავარი პარტნიორია.

შემოქმედებითი ევროპა

შემოქმედებითი ევროპა წარმოადგენს ევროკავშირის ახალ პროგრამას, რომელიც მიმართულია კულტურის და შემოქმედებითი სექტორების გაძლიერებისკენ. პროგრამის 2021-2027 წლების ბიუჯეტს €2.4 მილიარდი შეადგენს. შემოქმედებითი ევროპა მხარს უჭერს ორგანიზაციებს რომლებიც მოღვაწეობენ კულტურული მემკვიდრეობის, საშემსრულებლო ხელოვნების, სახვითი ხელოვნების, ინტერდისციპლინარული ხელოვნების, საგამომცემლო, კინოინდუსტრიის, ტელევიზიის, მუსიკის და ვიდეოთამაშების სფეროებში, ასევე ათობითათას მხატვარს, კულტურის და აუდიოვიზუალური ხელოვნების პროფესიონალს. დაფინანსება მათ შესაძლებლობას აძლევთ განავრცონ თავიანთი მოღვაწეობა მთელი ევროპის მასშტაბით, მოიზიდონ ახალი აუდიენცია და განავითარონ თავიანთი უნარები.